პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 38-ე წელი | № 209 (10906) | ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ს. რიჟინაშვილი. — დღეს გამოფენაზე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **მ. ვარდოსანიძე.** — მთავართბილისშენის პარტიული ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — უკანასკნელ იატაკქვეშეთში (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში. — სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად; 1958 წლის საწარმოო გეგმების მონახაზი (მე-2 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — ახალი შახტის მშენებლობაზე (მე-2 გვერდი).

სექტემბერი ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა (მე-3 გვერდი).

დ. ამირანიძე. — [illegible] ძალზე ცუდად მიმდინარეა (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციაში (მე-3 გვერდი).

ს. ივანოვი. — საერთაშორისო მიმოხილვა. — მშვიდობისათვის (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას — შეუსუსტებელი კონტროლი

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ეგებებიან ოქტომბრის დიად დღესასწაულს. რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივების მხურვალე მოწონება და ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა რუსთავის მეტალურგთა პატრიოტულმა მოწოდებამ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. სოფლად საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად გამოვიდნენ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეები, რომლებიც თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მუშები და კოლმეურნეები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი იმისაკენ ისწრაფვიან, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

ამჟამად რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის სასიხარულო ცნობები ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების შესახებ. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში მიდიან რუსთავის მეტალურგები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, თბილისის ჩარხმშენებლები, ქუთაისელი ავტომობილმშენებლები და მეფეხსაცმელეები, ჭიათურელი მაღაროელები და გორელი ფაიფურები. უდიდესი აქტივობით მონაწილეობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები — მეჩაიეები და მევენახეები, მებაღეები და მეცხრეტრუსეები, მეთამბაქოეები და მეცხოველეები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან მასების შემოქმედებითს აქტივობას და წარართავენ მას საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისაკენ. ამ მხრივ საყურადღებოა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა, რომელმაც ყოველდღიური კონტროლი დააწესა ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე. ამას წინათ საქალაქო კომიტეტის მორიგ პლენუმზე მაღალი აქტივობის ვითარებაში განიხილეს საკითხი „საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ". პლენუმზე აღინიშნა, რომ ქალაქის მრეწველობამ მიმდინარე წლის შვიდი თვის დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 107,5 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია მისცა. ამ წარმატებებში დიდია საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წვლილი. მაგრამ როგორც პლენუმზე გამოირკვა, ყველა პირველადი პარტორგანიზაციის შესახებ როდი შეიძლება ამის თქმა. მაგალითისათვის პლენუმზე დაასახელეს აგურის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ზერელედ ხელმძღვანელობს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას, არ ამოწმებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, სათანადო ზომებს არ იღებს ჩამორჩენილთა დასახმარებლად და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში დასანერგავად. ამითაც აიხსნება ის, რომ სტალინირელმა მეაგურეებმა არათუ ნაკისრი ვალდებულებანი ვერ გაანაღდეს, არამედ შვიდი თვის საწარმოო გეგმის შესრულებაშიც ჩამორჩნენ.

კარგად იქცევიან პარტიის წითელწყაროს, საგარეჯოს, მარნეულის და ბოლნისის რაიკომები, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას, ემედითს ზომებს იღებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ ნაკისრი ვალდებულებანი. მაგრამ პარტიის ბევრი რაიკომი ასე როდი იქცევა. ეს განსაკუთრებით ითქმის პარტიის ყვარლის, ორჯონიკიძის და ზესტაფონის რაიკომების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

„დიდი ბოროტებაა ის, — ამბობდა პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ბევრი პარტიული და საბჭოთა მუშაკის პრაქტიკულ საქმიანობაში დამკვიდრდა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ნაკისრი ვალდებულებებისადმი. რომ შევამოწმოთ, თუ ესა თუ ის ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა როგორ ასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს, აღმოჩნდება სიტყვასა და საქმეს შორის დიდი შეუფარდებლობა... საჭიროა გაძლიერდეთ ადამიანებში თავიანთი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. პირობა დადე — შეასრულე იგი რაც უნდა მოხდეს".

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბოროტება — ნაკისრი ვალდებულებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება — ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ცოტა როდია ისეთი შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები გვერდზე უდგანან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას, სუსტად რაზმავენ მასებს წარმოებაში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლინებისათვის, გადამწყვეტ ბრძოლას არ ეწევიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, დაკისრებულ საქმეზე კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის ცხმელეულის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციაში. საწარმოს კოლექტივმა ოქტომბრის დიადი წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებანი იკისრა, მაგრამ ეს ვალდებულებანი ქაღალდზე დარჩა.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეუსუსტებელი, ყოველდღიური კონტროლი დააწესონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე. ამ მიზნით პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სისტემატურად უნდა მოეწყოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, პრაქტიკული დახმარება გაეწიოს ჩამორჩენილებს, გაძლიერდეს ადამიანებში თავიანთი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან თვითეულ მშრომელს ორმად განუმარტონ ბოლშევიკური წესი: პირობა დადე — შეასრულე იგი რაც უნდა მოხდეს.

კომუნისტები მოწოდებული არიან საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე იდგნენ და უპარტიოთა მასებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მაგალითს აძლევდნენ. საოქტომბრო შეჯიბრების ნამდვილად მასობრივ მოძრაობად გადაქცევისათვის პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო უნარიანად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალება: ლექციები, მოხსენებები, საუბრები, პრესა, რადიო, თვალსაჩინოება. საჭიროა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა საქმიანად განვიხილოთ კომუნისტთა კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, საწარმოო თათბირებზე, ყველა ღონისძიება განვახორციელოთ იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ იქცეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავი უდიდესი ისტორიული მოვლენაა ჩვენი ხალხის, მთელი მოწინავე კაცობრიობის ისტორიაში. კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებული ახალი დიდი წარმატებებით შევხვდეთ სახელოვან წლისთავს! — ამ ლოზუნგით უნდა მუშაობდნენ ახლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

ჯ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მეორე ნაწილი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა კ. მარქსის ისტორიულ-კრიტიკული შრომის — „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მეორე ნაწილი („კაპიტალის" IV ტომი), რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. „თეორიების" მეორე ნაწილი უმთავრესად მიძღვნილია რიკარდოს ეკონომიური სისტემის ყოველმხრივი ანალიზისა და ღრმა კრიტიკისადმი, სისტემისა, რომელიც კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უმაღლესი მიღწევა იყო. რიკარდოს თეორიის კრიტიკული ანალიზი მარქსისათვის იყო ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი პენქტი ჩრნციპელად ახალი ეკონომიური მოძღვრების — მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შექმნისას, აკრიტიკებს რა რიკარდოსა და სხვა ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, მარქსი ამასთანავე „თეორიების" მეორე ნაწილში იძლევა უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პრობლემების დადებით დამუშავებასაც — ისეთებისა, როგორიც არის მიწის რენტა, ეკონომიური კრიზისების პრობლემა და სხვ.

ისევე როგორც „ზედმეტი ღირებულების თეორიების" პირველ ნაწილში, რომელიც 1954 წელს გამოიცა და 1955 წელს კვლავ გამოიცა, „თეორიების" მეორე ნაწილში, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მოამზადა, პირველად არის მოცემული მარქსის ხელნაწერის დედანი ტექსტი, სადაც არ არის ნებისმიერი გადადგილებანი, კუპიურები და დამატნეჯებანი, რაც კაუცკის გამოცემაში იყო. ხელნაწერის ტექსტი მოცემულია ახლად შესრულებული თარგმანით. წიგნს აქვს საჭირო მეცნიერული აპარატი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო, გთხოვთ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთელი ჩვენი ხალხის სახელით მიიღოთ მხურვალე მადლობა ძმური მოლოცვებისა და სურვილებისათვის, რომლებიც გამოგვიგზავნეთ ფაშისტური უღლისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების 13 წლისთავის გამო.

ჩვენი ეროვნული დღესასწაულის გამო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები სიყვარულით მიაპყრობენ თავიანთ ფიქრებს საბჭოთა ხალხს და მადლობას გამოთქვამენ ინტერნაციონალური დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია რუმინელ ხალხს რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, და ამხანაგური მხარდაჭერისათვის ახალი სოციალისტური ცხოვრების აშენებაში.

რუმინეთის მუშათა პარტია და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას განუხრელად განავითარონ გულწრფელი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის, გააფართოონ კავშირი რუმინეთის მუშათა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, აქტიურად შეუწყონ ხელი სოციალისტური ქვეყნების ბანაკის განმტკიცებას საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ჩვენი ხალხების, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს და მარად მტკიცდებოდეს ურღვევი მეგობრობა რუმინელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის.

დოქტორი პეტრუ გროზა — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კივუ სტოიკა — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

გეორგიუ-დეჟი — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბუქარესტი, 1957 წლის 30 აგვისტო.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ გ. კ. ჟუკოვს

მადლობას გიძღვნით თქვენი გულითადი მოლოცვისათვის ეროვნული დღესასწაულის — 1957 წლის 23 აგვისტოს გამო. რუმინეთის შეიარაღებული ძალები მთელ რუმინელ ხალხთან ერთად განამტკიცებენ და ავითარებენ მეგობრობას საბჭოთა ხალხთან და მის შეიარაღებულ ძალებთან, მეგობრობას, რომელიც გამოიწრთო ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

ჩვენ ვუსურვებთ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრი
გენერალ-პოლკოვნიკი ლ. სელეჟანი

ბუქარესტი, 1957 წლის 29 აგვისტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ა. გრომიკოს

მოსკოვი

გთხოვთ, ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ გულწრფელი მადლობა თქვენი მოლოცვებისა და სურვილებისათვის, რომლებიც გამოგვიგზავნეთ ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 13 წლისთავის გამო.

იონ გეორგე მაურერი — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

ბუქარესტი, 1957 წლის 27 აგვისტო.

ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილეების მოგონებათა კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „გვიამბონენ დიდი ოქტომბრის მონაწილენი". ოქტომბრის რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა მოგონებანი, რომლებიც კრებულში გამოქვეყნდა, მოგვითხრობენ, თუ რა თავდადებულ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში მუშათა და ჯარისკაცთა მასები.

გამოქვეყნებულ მოგონებებში ბევრია წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლიდან ოქტომბრამდე პროლეტართა წრეში, პროფესიულ კავშირებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმეტესობის მიზიდვის უძნელეს ამოცანას, განამტკიცებდნენ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირს.

დღეს გამოფენაზე

ახალგაზრდობის და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის დამთავრების შემდეგ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოსკოვში უკვე მოდიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტები, ზოგი — შორი გზიდან, ზოგიც — ახლო მანძილიდან. ამრიგად, განახლდა ექსკურსანტების დინება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მუშაობის განახლების შემდეგ საქართველოს სსრ პავილიონში ჩვენ პირველად ვნახეთ მემცენარეები ბარაგოულიდან და ზესტაფონიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის მშრომელები, გარეუბნის, მცხეთის, თიანეთის, გარდაბნის, მარნეულის, ყაზბეგის რაიონების წარმომადგენლები. მათთან ერთად, გარდა მრავალი ინდივიდუალური მნახველებისა — მოსკოველებისა და დედაქალაქის სტუმრებისა, — ჩვენს პავილიონში იყვნენ ექსკურსანტთა ორგანიზებული ჯგუფები ციელინიდან და იუგოსლავიიდან, მოსკოვის ოლქის ზვენიგოროდის და ნოგინსკის რაიონებიდან, სომხეთისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებიდან, ვოლინის, ზაპოროჟიეს, კამენსკის, ტერნოპოლის ოლქებიდან, სტავროპოლის მხარიდან.

კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, მტს-ებიდან და სამეცნიერო ორგანიზაციებიდან ექსკურსანტების გეგმიანად ჩამოსვლის განახლებისთანავე საქართველოს პავილიონში, ისევე როგორც გამოფენის სხვა პავილიონებში, ექსკურსიამძღოლები შეუდგნენ ნაყოფიერ მუშაობას. თვითეული ექსკურსიამძღოლი პავილიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ადგენს ამა თუ იმ ჯგუფთან მუშაობის გეგმას. ექსკურსანტებთან ეწყობა მოკლე საგამოცდო საუბრები, შესავალი ლექციები, რის შემდეგ ისინი ეცნობიან მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების და ცალკეულ დარგობრივ პავილიონებს, აგრეთვე სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის პავილიონებს.

ამ დღეებში ბევრი მნახველი ჰყავს ციმბირის პავილიონს, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს მხარეს. ექსკურსანტებს აინტერესებთ ციმბირის ოლქების მოწინავე მეურნეობათა წარმატებები, პურის მოსავლის ორ ფაზად (გაუოფით) აღების გამოცდილება.

მოლდავეთის სს რესპუბლიკის პავილიონში მნახველები ესაუბრებიან რესპუბლიკის მექანიზატორებს, წარჩინებულ მექარხლეებსა და მევენახეებს. ექსკურსიამძღოლები აქ ეცნობიან ლენინის სამი ორდენით დაჯილდოებული წარჩინებული მექარხლის ივანე ტიმოთეს-ძე მარინიუკის მდიდარ გამოცდილებას.

თვითეულ პავილიონში ნახავთ რაღაც თავისებურს, ახალს, საინტერესოს. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროპაგანდის სამმართველომ შეიმუშავა ლექციების სპეციალური გეგმა, რომელსაც უკვე ახორციელებს. ლექციებს კითხულობენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, გამოჩენილი მეცნიერები.

გამოფენის კინოთეატრებსადა პავილიონებში აჩვენებენ ახალ კინოსურათებს, სასოფლო-სამეურნეო ფილმებს.

ამ დღეებში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ჯიშიანი ცხოველების მიყიდვა. ეს ცხოველები ეკუთვნით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების მოწინავე მეურნეობებს. მაგალითად, მეცხოველეობის ქალაქის საჩვენებელ მოედანზე პირველად გამოიყვანეს გასაყიდად განკუთვნილი მოზვრები და დეკეულები. მათ შორის ნახავთ ისეთ ჯიშებს, როგორიც არის „კოსტრომის", „ლებედინსკის", „სემიპალატინსკის", „სიჩევის", „ლატვიური წაბლა", „ველის წითელი" და სხვ. მთელი ეს პირუტყვი გაუზრდიათ გამოფენის ჩემპიონებს — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების რეკორდსმენებს. ეს მოზვრები პირუტყვი საჩვენებლად გამოიყვანეს საბჭოთა მეურნეობებმა „კარავაევმა", „სიჩევსკიმ", მეცხოველეობის კიევის საცდელმა სადგურმა „ტერეზინომ", კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობებმა და სხვა მოწინავე მეურნეობებმა. და უნდა ითქვას, რომ მთავარი საგამოფენო კომიტეტის ექსპერტთა კომისიამ ამ ცხოველებს მაღალი შეფასება მისცა.

უახლოეს დღეებში გამოფენაზე დაიწყება საუკეთესო ჯიშიანი ცხენების გაყიდვა. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ხანაშენი მეურნეობები გამოფენაზე გაჰყიდიან ჯიშიან ცხვრებსა და ღორებს.

ამ დღეებში გამოფენის პავილიონები ყოველდღე ახალ ექსპონატებს იღებენ. ხორცლის ძნები მიღებულია ყუბანიდან და სტავროპოლიდან, ხილი — საქართველოდან და უზბეკეთიდან, ნესვი — თურქმენეთიდან. საქართველოდან რესპუბლიკის პავილიონს სისტემატურად მოდის წლევანდელი მოსავლის ახალი ნატურალური ექსპონატები — სხვადასხვა ჯიშის ვაშლი. მსხალი, ქლიავი, ბაზალეთი, ატამი, პამოდორი, ბადრიჯანი, წიწაკა. მიღებულია სიმინდის პირველი ტაროები.

სამწუხაროდ, პავილიონის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ერთ-ერთი მთავარი ნაკლია „კოლხიდა-სამგორის" დიორამის ცუდი მუშაობა, თუ მას საერთოდ შეიძლება მუშაობა ეწოდოს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი არ მუშაობს. ამასთან ხალამოს საათებში იქ სინათლე გამოირთვება ხოლმე და ეს დიორამა ბნელ ადგილად მოჩანს პავილიონის თეთრ ფონზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ პავილიონს არა ჰყავს უფროსი აგრონომი და აი დღემდე ამ თანამდებობაზე არავინ არ გამოუგზავნიათ. ეს სამუშაო მინდობილი აქვს გამოფენაზე დროებით მოუშავე ადამიანს, რომელსაც ბევრს ვერ მოვთხოვთ. ორანუერიას და მთელ მცენარეულობას პავილიონის ირგვლივ სპეციალური მუშაკი ესაჭიროება.

პავილიონის დირექტორს, რასაკვირველია, საშალება არა აქვს თვალყური ადევნოს ყველა „წვრილმანს", ხოლო მის ირგვლივ მყოფი მუშაკები ძალიან ცოტას ფიქრობენ მინდობილ საქმეზე. ამის შედეგად გვაქვს ნაჩქარევ-დაკუსტარულობა. ორანუერიაში ადრინდელი წესრიგი და სათანადო მეთვალყურეობა არ არის. ნათურების ნაწილი აქ გადამწვარია, რძისფერი ბურთების ნაწილი დამტვრეულია და ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ჩაის პლანტაცია და ვენახი თავმინებებულია. არავის არ აწუხებს ის, რომ ამის შედეგად მნახველებს შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეექმნათ საქართველოს ჩაის პლანტაციებსა და ვენახებზე. ამ ნაკლოვანებათა გამოსახსორებლად ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ს. რიჟინაშვილი.
„კომუნისტის" კორ.

ნომხეთის სსრ. ლენინაკანის საფეიქრო კომბინატის პროდუქცია ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში. პირველი მეტრი ქსოვილი აქ 1924 წელს მოქსოვეს. ახლა კომბინატი წელიწადში 54 მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებს. სურათზე: კომბინატის მუშები ნ. სარუხანიანი და ა. არაქელიანი ქსოვილის ნიმუშების კაბინეტში.

ფოტო ა. ეკეკიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 133.400 ათასი ფუთი პური ჩაბარეს სახელმწიფოს

ალმა-ატა, 1 სექტემბერი. (საკდესი). ყაზახეთში მარტო აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში ცალკეკე მომკეს და გალეწეს მილიონ ჰექტარზე მეტი ფართობის პური.

ყაზახეთის კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევს მოძმე რესპუბლიკების 200 ათასი წარგზავნილი.

ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 133.400 ათასი ფუთი მარცვლეული, უმთავრესად ხორბალი.

მკა გრძელდება.

ახალი სამგზავრო ავიახაზები

ბაქო. (საკდესი). გაიხსნა რეგულარული საჰაერო სამგზავრო მიმოსვლა აზერბაიჯანის დედაქალაქსა და ზაქათალას, ნუხასა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებს შორის. ეს პირველი მუდმივი ავიამარშრუტებია, რომლებიც ემსახურებიან აზერბაიჯანის რაიონებს. ავიახაზმა ბაქო ძირითადად დაუკავშირა მთის რაიონების ქალაქებთან, რომლებიც დაშორებული არიან რკინიგზას.

უახლოეს ხანში მუშაობას დაიწყებს კიდევ ორი ახალი ხაზი. ისინი ერთმანეთთან დაუკავშირებენ რესპუბლიკის თერთმეტ ქალაქს.

წელს საჰაერო ტრასებზე, რომლებსაც აზერბაიჯანის სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის სამმართველო ემსახურება, ბევრი სხვა ცვლილებაც მოხდა: გაიხსნა ახალი სამგზავრო მარშრუტი ბაქო-ერევანი, გადიდდა რეისების რიცხვი კრასნოვოდსკში, მოსკოვში.

საჰაერო ექსპედიცია სევანის ზგაზე

ლენინგრადი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალურად მოწყობილი თვითმფრინავით აქედან სომხეთში გაფრინდა ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიცია განაგრძობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ბუნებრივი წყალსატევის — მთის ტბის სევანის კომპლექსურ მეცნიერულ კვლევას, რაც შარშან დაიწყო. მეტეოროლოგები და აეროლოგები შეისწავლიან აორთქლების პრობლემებს, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ტბის წყლისა და სითბოს ბალანსში, აგრეთვე მეტეოროლოგიური რეჟიმის სხვა თავისებურებებს.

გეოფიზიკოსთა მუშაობა ხელს შეუწყობს იმას, რომ სევანის წყლების საუკუნეობრივი მარაგი სწორად იქნას გამოყენებული ჰიდროტექნიკური და რწყვის მიზნებისათვის.

ახალი რკინიგზის ხაზი ყამირზე

ალმა-ატა, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე ამუშავდა კოკჩეტავ-ყზილ-ტუს ახალი რკინიგზის ხაზი, რომლის სიგრძეა 204 კილომეტრი. ამ ხაზმა შეაერთა კოკჩეტავის საოლქო ცენტრი და შორეული ყზილ-ტუს რაიონი.

ამ ხაზზე გაიარა ახალი მოსავლის მარცვლეულით დატვირთულმა პირველმა ეშელონმა.

პარტიული ცხოვრება

მთავართბილმშენის პარტიული ორგანიზაცია

ორ თვეზე მეტია, რაც შეიქმნა და წარმატებით მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო. ამ მოკლე დროის განმავლობაში სავსებით ნათელი გახდა მრეწველობის და მშენებლობის მართვის ამ ახალი ფორმის უპირატესობანი. სახალხო მეურნეობის საბჭო ყოველდღიურად წყვეტს საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის გადაუდებელ ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხებს მშრომელთა აქტიური მონაწილეობით, ავლინებს და ფართოდ იყენებს წარმოების ახალ რეზერვებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე მისი მუშაობის დასაწყისშივე დიდი და რთული ამოცანები დაისახა ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის, სამრეწველო და საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის კიდევ ერთი ახალი მკაფიო დადასტურებაა.

როგორც საბინაო მშენებლობის პრაქტიკამ ცხადყო, მშენებლობის ტემპსა და ხარისხზე განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სქემაში წინათ არსებული საუწყებო ბარიერები. დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით შედარებით ნაკლები სიმძლავრის ექვსი სამშენებლო ორგანიზაციის ბაზაზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის მთავარი სამმართველო — მთავართბილმშენი. ამ ღონისძიებამ დადებითი გავლენა მოახდინა როგორც მშენებლობის ტემპების დაჩქარებაზე, ისე თვითეული ობიექტის მშენებლობის გაიაფებასა და ხარისხის ამაღლებაზე. მოკლე ხნის განმავლობაში მთავართბილმშენმა თითქმის ორჯერ გაადიდა სამუშაოთა მოცულობა. მიუხედავად ამისა, საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულება შეუწყნარებლად ჩამორჩება. მთავართბილმშენმა წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 43.493 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დღემდე კი გადაცემულია მხოლოდ 7.496 კვადრატული მეტრი.

მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, ძალებისა და რესურსების სწორად განაწილებაში, მშენებელთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად კომუნისტებისა და აპარატის ყველა მუშაკის დარაზმვაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მთავართბილმშენის პარტიულმა ორგანიზაციამ. მთავართბილმშენის პარტბიუროო ამ ერთი თვის წინათ შეიქმნა. ამჟამად იგი გულდასმით სწავლობს იმ მიზეზებს, რომლებმაც დედაქალაქის მშენებლობათა ჩამორჩენა გამოიწვია.

— რა არის საჭირო დაბრკოლებათა გადასალახავად, რომლებიც ხელს უშლიან მშენებლებს ჩამორჩენის დაძლევაში? ამ საკითხზე გადაწყდა მოწვეულ იქნას მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მომზადება დაევალა კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან მთავართბილმშენის მთავარი ინჟინერი ა. ჩიტაიშვილი, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ი. ლოიკო და პარტბიუროს მდივანი ბ. ბრეგვაძე. სამშენებლო ობიექტებზე გამომქღავნებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორების მიზნით მთავართბილმშენში შეიქმნა სადისპეტჩერო აპარატი. მისი საშუალებით ხდება ყველა იმ შეფერხებათა მოგვარება, რომლებსაც მშენებლები ადგილზე ვერ ძლევენ. მორიგე დისპეტჩერები სისტემატურად იმყოფებიან სამშენებლო ობიექტებზე და ადგილზევე წყვეტენ ბევრ გადაუდებელ საკითხს. ასეთმა პრაქტიკამ დიდად დააახლოვა აპარატის მუშაკები მშენებლებთან.

პარტბიუროში სისტემატურად შემოდიან კომუნისტები, უპარტიო მშენებლები და აყენებენ თავიანთ წინადადებებს მშენებლობის ხელშემშლელი მიზეზების აღმოსაფხვრელად. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ საწარმოო კომბინატებმა, აგრეთვე ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანამ არ გაადიდეს მშენებლობებისათვის ანაკრები კონსტრუქციების გამოშვება, ისე მშენებლები ვერ შეძლებენ იმ დიდი ამოცანების შესრულებას, რომლებიც მათ პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს. სწორედ ამის შესახებ იყო ლაპარაკი ამას წინათ გამართულ საწარმოო თათბირზე, რომელიც პარტბიუროს ინიციატივით მოეწყო. თათბირის მონაწილენი მოურიდებლად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ შეუწყნარებლად ჭიანურდება ორი დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აგრეთვე აღინიშნა, რომ მშენებლობები არ მარაგდება საკმაო რკინა-ბეტონითა და ინერტული მასალით (ქვიშა, ხრეში). მთელ რიგ მშენებლობებზე მოისუსტებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, დიდია მუშათა დენადობა და სხვ.

საწარმოო თათბირზე გამომქღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტბიუროომ შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სადისპეტჩერო აპარატის მუშაობის გაძლიერებას, მთავარი სამმართველოს მუშაკთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებას. პარტბიუროომ სადისპეტჩერო აპარატს დაავალა გააძლიეროს კონტროლი საშენი მასალების ხარჯვისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საავტომობილო ტრანსპორტის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას. მიღებულია ღონისძიებანი მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მუშაობის პირველი დღეებიდანვე პარტბიუროს ყურადღების ცენტრშია მშენებელთა კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი. პარტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე დაისახა ღონისძიებანი იმისათვის, რომ უახლოეს ხანში მომზადდეს 50 მებეტონე, შემლესავი და დურგალი. უკვე დაიწყო მუშაობა სამუშაოთა მწარმოებლებისა და ათისთავების კვალიფიციის ასამაღლებელმა ერთთვიანმა კურსებმა. პარტბიუროო მოწინავე მშენებლების გამოცდილების განზოგადების მიზნით აწყობს ტექნიკის კაბინეტს. უკვე შეგროვებულია მასალები — მოწინავე მშენებელთა გამოცდილების აღწერილობა, ლოზუნგები, პლაკატები, მოწინავეთა ფოტოსურათები და სხვ.

მთავართბილმშენის მუშაკთა შორის საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი არიან აგიტატორები — ნ. კორძახია, თ. მახარაშვილი, პ. სემაკოვი, ა. მელქაძე და ნ. გუგუნავა. ისინი ცოცხლად, დამაჯერებლად განუმარტავენ მსმენელებს აპარატის მუშაკების როლსა და ამოცანებს მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, აწყობენ ღრმაშინაარსიან საუბრებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო საუბრები, რომლებიც მიეძღვნა „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გაცნობას. გამოშვებულია კედლის გაზეთის „მშენებლის“ პირველი ნომერი. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ მშენებლობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაზე, უსაშიშრობის ტექნიკის დაცვის ამოცანებზე, მთავარი სამმართველოს მუშაობის პერსპექტივებზე და სხვ.

საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მთავართბილმშენმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ. მთავართბილმშენის კომუნისტების უპირველესი მოვალეობაა შეუნელებლად იბრძოლონ აპარატის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, აღზარდონ მშენებლები ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, მიაღწიონ იმას, რომ უფრო კონკრეტული და ოპერატიული იყოს მთავართბილმშენის ხელმძღვანელობა მშენებლებისადმი.

მ. ვარდოსანიძე.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით სახელი გაითქვა მემანქანე მუშა ნანული ზაუტაშვილმა. იგი წარმოების მოწინავეა და ამავე დროს წარმატებით სწავლობს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსზე. სურათზე: სტუდენტი მუშა ნ. ზაუტაშვილი თავის სამუშაო ადგილზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ზეგეგმითი ყველი და კარაქი

დმანისი. („კომუნისტის“ კორ.). ყველისა და კარაქის ქარხნის კოლექტივი (დირექტორი შ. სხირტლაძე), რომელმაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1.581.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მოგვცა, კვლავ დიდი წარმატებით განაგრძობს მუშაობას, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ყველისა და კარაქის გამოშვების დავალებებს.

ამას წინათ ქარხნის კოლექტივმა მიიღო ცნობა, რომ წლის პირველ ნახევარში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის მას მიეკუთვნა ქვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ფულადი პრემია. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა უკეთესად იმუშაოს, კიდევ უფრო გაადიდოს სამშობლოსათვის ზეგეგმითი ყველისა და კარაქის გამოშვება და წლიური საწარმოო გეგმის შესრულება უზრუნველყოს 7 ნოემბრისათვის.

რვა თვის შედეგები ცხადყოფს, რომ დმანისელები ამ ვალდებულებას პირნათლად გაანაღდებენ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მასწავლებელი გ. მარაქველიძე (ორჯონიკიძის რაიონი) რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში აყენებდა საკითხს მარელისის ავეჯის ფაბრიკის გაფართოებისა და სკამების გამოშვების გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოდან, სადაც ეს წერილი გადაიგზავნა, გვატყობინებენ, რომ მთავრობის დადგენილებით ნავთლუღში შენდება გრეხილი ავეჯის მეორე მძლავრი ფაბრიკა, რომელიც წლიურად 400 ათას ცალ სკამს გამოუშვებს. ფაბრიკა საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალი წლის მეორე ნახევარში.

1917 — 1957 ოქტომბრის გზაზე

უკანასკნელ იაზეკქვეშეთში

ვ. ი. ლენინი რაზლივში 22 აგვისტომდე (4 სექტემბრამდე) დარჩა. ქოხში მეტი გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგან შემდგომი დადგა და ძალიან აცივდა. ლენინმა გადაწყვიტა დროებით საცხოვრებლად გადასულიყო ფინეთში. აქ მას სურდა დაემთავრებინა თვისი კლასიკური ნაშრომი — „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელზეც მუშაობა აგვისტოში დაიწყო. ლენინს ხელთ ჰქონდა ნაშრომისათვის საჭირო დიდძალი ამონაწერები. ფინეთში შედარებით უფრო იოლი იყო ჟურნალ-გაზეთების მიღება, რაც ლენინს განსაკუთრებით აინტერესებდა.

ეს გადასვლა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო. იგი დაეკავა ფინელ ამხანაგს, ძველ კონსპირატორს გ. ე. იალავას, რომელიც ფინეთში ორთქლმავლის მემანქანედ მუშაობდა. მან ამხანაგებთან შოტმანთან და რახიასთან ერთად შეიმუშავა საზღვარზე ლენინის გადაყვანის გეგმა. მათ გადაწყვიტეს, რომ ლენინი მოეწყოთ ორთქლმავალზე ცეცხლფარეშად და ისე გადასულიყვნენ საზღვარზე. ნ. ა. ემელიანოვმა გაუკეთა მას სესტრორეცკელი მუშის პასპორტი ივანოვის გვარით. ლენინს გაუკეთეს პარიკი, გრიმი და ისე გადაიღო მისი სტრათი პასპორტისათვის ძველმა პარტიულმა მუშაკმა დ. ლუშჩენკომ. ამის შესახებ გ. ე. იალავა შემდეგს მოგვითხრობს:

„1917 წლის 22 აგვისტოს (4 სექტემბერს) პეტერბურგიდან განრიგების მიხედვით გავიდა საგარაჟო მატარებელი № 71. მატარებელი მიდიოდა რაიოლასაკენ. ორთქლმავალი დროზე ჩამოაყენეს, მისი ნომერი იყო 293. სადგურ უდელნაიასთან, პეტროგრადიდან ათ ვერსზე, როცა მე ყურადღებით ვაკვირდებოდი სიბნელეს, უეცრად დავინახე საშუალო ტანის ჩასკვნილი კაცი, რომელიც ორთქლმავლისაკენ მოიჩქაროდა. მას ეზური კეპი, ეცვა ძველი „ტროიკა“ — პეტერელი მუშის ჩვეულებრივი ტანსაცმელი, სახე კარგად ჰქონდა გაპარსული. მან მოიარბინა ორთქლმავალთან, სიტყვის უთქმელად ხელი სტაცა სახელურებს და ამოვიდა ორთქლმავლის ჯიხურში.

ლენინი — იგი ლენინი იყო — თავაზიანად მომესალმა და პალტო გაიხადა. მან სცადა გახუმრებოდა ჩემს თანაშემწეს, მაგრამ როცა დაინახა, რომ მან რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდა, მხიარულად გაიცინა, ხოლო შემდეგ შეხტა ტენდერზე, მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა თანაშემწეს და ამით აგრძნობინა, რომ მას შეუძლია დამშვიდებით იჯდეს თავის ადგილას და სწოს თამბაქო. რაც შეეხება შეშას ...ილიჩი ადვილად ავიდა შეშის შტაბელზე და არაჩვეულებრივი დახელოვნებით და მოხერხებულად ალაგებდა შეშას ღუმელში“.

ლენინი უნდა მისულიყო სადგურ ტერიოკში. საზღვარზე ყოველთვის წარმოებდა დოკუმენტების გულმოდგინე შემოწმება, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სადგურ ტერიოკში, რუსეთის საზღვრიდან 50 კილომეტრზე, ლენინი ჩამოვიდა მატარებლიდან, გამოემშვიდობა ორთქლმავალზე მყოფთ და შემხვედრ ამხანაგებთან ერთად გაეშურა სოფელ იალკალაში, სადაც 10 დღე დაჰყო, ხოლო შემდეგ გადავიდა ჰელსინგფორსში (ჰელსინკში).

ლენინის ყოფნას ფინეთის სოფელ იალკალაში ლ. პ. პარვიაინენი ასე გადმოგვცემს:

„რუსეთ-ფინეთის საზღვარზე ვლადიმერ ილიას-ძე გადმოვიდა ორთქლმავლის ჯიხურში, ვითომ ცეცხლფარეში იყო. მას ახლდა ჩემი ქმარი ეინო რახია (რომელიც 1936 წელს გარდაიცვალა). მატარებელი სადგურ ტერიოკზე (ახლანდელი ზელენოგორსკი) უკვე გვიან მოვიდა და ვიდრე ცხენით სოფლამდე მივალწევდით, დაღამდა. ოჯახის წევრებს არ ეძინათ, რადგან გაფრთხილებული იყვნენ, რომ მოდიოდა „რუსი მწერალი კონსტანტინე პეტრეს-ძე ივანოვი“ (ამ გვარით ცხოვრობდა იმ დღეებში ლენინი) ...სტუმარი ყველას გულითადად მიესალმა. მას თავი უბრალოდ, თავისუფლად ეჭირა, ამბობდა, რომ ხურს იმუშაოს მყუდრო სოფელში. მაგრამ, როგორც მეორე დღეს გამოირკვა, მამაჩემმა, რომელიც წინათ პეტროგრადში მუშაობდა, მიუხედავად პარიკისა, იცნო ლენინი — ასე დიდად პოპულარული იყო ვლადიმერ ილიას-ძე ხალხში.

მეორე დღეს კვირა იყო და ჩვენ სასეირნოდ წავედით. გავედით მინდვრად, სადაც მამაჩემი ხნავდა. ვლადიმერ ილიას-ძემ გადაწყვიტა ეხინჯა კავი ხვნა. ჯერ არაფერი გამოსდიოდა: კავი ხან ღრმად ჩაეფლობოდა მიწაში, ხან ამოვარდებოდა. შემდეგ მუშაობა უკეთ წავიდა. როცა მამაჩემს ადგილს უთმობდა კავთან, ილიჩმა უთხრა:

— მაინც მძიმეა თქვენი სამუშაო!

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლენინს უყვარდა და იტაცებდა ყოველივე ახალი, ცდილობდა ყველაფერს თვითონვე მისწვდომოდა. ერთხელ დაინახა კენკრის საკრეფი მანქანა, რომელიც მამაჩემმა გააკეთა და მაშინვე წავიდა ამ მანქანით მოცვის საკრეფად. უყვარდა აგრეთვე სოკოზე წასვლა, ბანაობა. ცხოვრებაში ძალიან უბრალო იყო. პირველსავე შაბათს დედაჩემმა ჩვეულების მიხედვით გამოაცხო ეგრეთწოდებული კარელიური ნამცხვარი. ვლადიმერ ილიას-ძეს, როგორ ჩანს, მოეწონა და შუაკვირაში დედაჩემს ეკითხება:

— ანა მიხეილის ასულო, დღეს შაბათი ხომ არ არის?“



ორთქლმავალი, რომლითაც ვ. ი. ლენინი 1917 წლის 22 აგვისტოს (4 სექტემბერს) გადავიდა ფინეთში. ამ ორთქლმავლით დაბრუნდა იგი იმავე წლის 7 (20) ოქტომბერს რევოლუციურ პეტროგრადში. ეს ორთქლმავალი ამ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს ფინეთში. ნ. ხ. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის ფინეთში ამასწინანდელი ვიზიტის დროს ფინეთის მთავრობამ ეს ორთქლმავალი საბჭოთა კავშირს გადმოსცა საჩუქრად. ამ ცნობამ საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელთა დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

სურათზე: ორთქლმავალი № 293.

ილიკალაში ლენინი დაუღალავად მუშაობდა, მთელ ღამეებს სტატიებს წერდა, გართული იყო რევოლუციის საქმეებით. თავისუფალ დროს ესაუბრებოდა გლეხებს, ეცნობოდა მათს განწყობილებას. განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს პეტროგრადის ამბებს, ამხანაგებისაგან მოითხოვდა ყოველდღიურად ეგზავნათ მისთვის დედაქალაქის ჟურნალ-გაზეთები. ფინეთში ლენინთან ორჯერ იყო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, რომლის მეშვეობით ლენინი თავის თანამებრძოლებს სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა.

ლენინი იალკალადან გადავიდა ჰელსინგფორსში (ჰელსინკში), სადაც დაჰყო 7 (20) ოქტომბრამდე. ამ დღეს იგი ისევ იალავას ორთქლმავლით დაბრუნდა პეტროგრადში. ორთქლმავალზე ავიდა სადგურ რაიოლაში. პეტროგრადში ლენინის დაბრუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში

სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს სამკერვალო მრეწველობისა და ფეხსაცმლის ფაბრიკები წელს ცუდად როდი მუშაობენ, წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, თანდათან მზარდი რაოდენობით უშვებენ პროდუქციას. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის ამ ორ დარგს შორის განსხვავებაც არის. მაშინ როცა ფეხსაცმლის საწარმოები გადაჭრით აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, სამკერვალო ფაბრიკების მიერ შეკერილი ტანსაცმლის ხარისხი კვლავ დაბალ დონეზეა.

შეიძლება თუ არა ჩვენმა სამკერვალო ფაბრიკებმა ისევე კარგად, ლამაზად, მკვიდრად შეკერონ პალტო, კოსტიუმი, კაბა, ჟაკეტი, როგორც კერავენ საბჭოთა კავშირის მოწინავე სამკერვალო ფაბრიკებში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სხვა ქვეყნებში. შეიძლება თუ არა ჩვენმა სამკერვალო ფაბრიკებმა გამოუშვან ისე შეკერილი მოდელირებული კოსტიუმები, რომ კაცს თავის ტახზე გამოყვანილივით მოერგოს?

ეს საკითხი გულდასმით იქნა განხილული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მორიგ სხდომაზე. მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. რობაქიძემ საბჭოს მოახსენა, რომ რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობამ წელს 7 თვეში გამოუშვა და სავაჭრო ქსელს სარეალიზაციოდ გადასცა გეგმის გადამეტებით 10 მილიონი მანეთის ტანსაცმელი. მათ შორის ქალისა და მამაკაცის კოსტიუმები, პალტოები და კაბები, რომლებიც ძვირფასი მაღალხარისხოვანი ქსოვილებისაგან არის შეკერილი. მაგრამ ეს ტანსაცმელი მოძველებული ფასონებისაა.

ახალი ფასონებისა და მოდელების მიხედვით ფაბრიკებში ტანსაცმლის მასობრივად შეკერვა, როგორც სხდომაზე გამოირკვა, ბრკოლდება შრომის სათანადო ორგანიზაციის უქონლობის გამო. მოდელური თანამედროვე ფასონების ტანსაცმლის შესაკერავად ნოწინავე სამკერვალო ფაბრიკებში იყენებენ მკერავთა ე. წ. ჯგუფურ შრომას. ეს იმას ნიშნავს, რომ მკერავ სპეციალისტთა ერთ ჯგუფს ანდობენ გარკვეული ნომრებისა და ზომების ტანსაცმლის შეკერვას, მეორე ჯგუფს სხვა ნომრებისა და ზომებისას და ა. შ. შრომის ასეთი ორგანიზაცია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჯგუფის ყოველ წევრ ხელოსანს მინდობილი ტექნოლოგიური ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სამკერვალო ფაბრიკებში კი შემოღებულია ტანსაცმლის კერვის კონვეიერული წესი. ამ წესის დროს მუშას უხდება სხვადასხვა ოპერაციის შესრულება და სამუშაოება არა აქვს ერთი რომელიმე ოპერაციის შესრულებაში გავარჯიშდეს და სრულყოს თავისი ოსტატობა. თანაც კონვეიერული წესით მუშაობის დროს პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ცალკეული ოპერაციის შესრულებისათვის გარკვეულ ხელოსანს არ ეკისრება.

სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალა მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს შეარჩიოს ერთ-ერთი სამკერვალო ფაბრიკა, მოაწყოს იქ ტანსაცმლის შეკერვაზე ჯგუფური შრომა, მოახდინოს ყველა საჭირო ცდა და მასალები წარუდგინოს საბჭოს დასკვნის გამოსატანად. ამასთან მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველოს სამკერვალო ფაბრიკებში შეკერილმა პროდუქციამ პოპულარობა მოიპოვოს მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭომ დასახა აგრეთვე ღონისძიებები ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოზრდილთა მოდელური და მაღალხარისხოვანი საბავშვო ფეხსაცმლის გამოშვების გადიდებისათვის.

1958 წლის საწარმოო გეგმების მონახაზი

როგორ იმუშავებს გაისად რესპუბლიკის მრეწველობა, რა სიახლეს მოგვცემს, რამდენად მეტ პროდუქციას გამოუშვებს 1957 წელთან შედარებით, რამდენად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, შემცირდება თვითღირებულება, რამდენად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, გაიზრდება მუშათა საშუალო გამომუშავება — ყველა ეს საკითხი გულდასმით განხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ თავის ერთ-ერთ სხდომაზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში 525 დიდი საწარმო და, გარდა ამისა, მრავალი სამეურნეო ორგანიზაცია შედის. ამ დიდმა საწარმოებმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაში გადაიდნენ, შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა, აიღეს ისეთი ტემპი, რომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ — მიმდინარე წლის საწარმოო დავალებებს წარმატებით შეასრულებენ. ამასთან დაკავშირებით მგეგმავ-ეკონომისტებს უკვე აქვთ იმის საშუალება, რომ მოახზონ მრეწველობის მომავალი წლის გეგმები, განსაზღვრონ ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა ფარგლები.

მომავალი სამეურნეო წლის საწარმოო გეგმების დამახასიათებელი თავისებურებაა ყურადღების განსაკუთრებით გამახვილება პროდუქციის ხარისხზე და შრომის ნაყოფიერების დიდი ზრდა, რაც წინ უსწრებს ხელფასის ზრდას. შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას უზრუნველყოფს მექანიზაციის ფართოდ განხორციელება, ავტომატიზაციის და შრომის გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად დანერგვა, ხოლო ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პროდუქციის გამოშვების შემდგომ გადიდებას, მისი ხარისხის ამაღლებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ 1958 წლისათვის ზრდის ტემპების უპირატესი გაძლიერება გათვალისწინებულია მძიმე მრეწველობის ხაზით (7,7 პროცენტით), ხოლო მსუბუქი მრეწველობის დარგებშიც, განსაკუთრებით კვებისა და სასურსათო საწარმოების ხაზით, შრომის ნაყოფიერების ზრდა გათვალისწინებულია 3,1 პროცენტით 1957 წლის დონესთან შედარებით. გაისად საბჭოთა ადამიანები მიიღებენ გაცილებით მეტ და ბევრად უკეთესი ხარისხის ქართულ ჩაის, კონსერვებს, ღვინოს, აგრეთვე ტყავის მოდელირებულ ფეხსაცმელს, შეკერილ ტანსაცმელს, ტრიკოტაჟს, აბრეშუმის, შალისა და ბამბის ქსოვილებს, საოჯახო ჭურჭელს, ავეჯს. მაგალითად, მომავალ წელს 400 ათასი წყვილით მეტი საბავშვო ფეხსაცმელი იქნება გამოშვებული, ვიდრე წელს.

რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის საწარმოებიც მომავალი წლიდან საგრძნობლად აფართოებენ თავიანთი პროდუქციის ასორტიმენტს, გამოუშვებენ ქართული წარმოების მძლავრ ელექტრომავლებს, კოშკურა ამწეებს, რაც საჭირო იქნება ფართოდ გაჩაღებული საბინაო მშენებლობისათვის, სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სამთო ავტომობილებს, გაუმჯობესებულ ლითონდასამუშავებელ ჩარხებს და ა. შ.

ახალი შახტის მშენებლობაზე

ტყიბულში სამხრეთ-აღმოსავლეთით თუ გაჰყვებით გზას, ხელმარცხნივ მაღალ მთას დაინახავთ. ამ მთის კალთებთან ახლა დიდი გამოცოცხლებაა. დიდი სამშენებლო მოედანი მოუწიათ. ავტომანქანების ქარავნები განუწყვეტლივ ეზიდებიან ხეტყეს, ავურს, ქვიშას, სარმატურო რკინას, ათასგვარ მოწყობილობას.

ამ მთის მიდამოებში მშენებლები შესევიან ფერდობს და დაუწყიათ რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი ახალი შახტის — სამხრეთ-აღმოსავლეთის მეორე შახტის მშენებლობა.

მშენებლებმა ჯერ მდინარე საბელასური უნდა შებოჭონ ჯეჯირებით, მოამწყვდიონ ბეტონის ბორკილებში, რათა ამით გააფართოონ შახტის სამშენებლო მოედანი, გაიჩაღონ ადმინისტრაციული კომბინატის, საკომპრესოროს, ბუნკერის, საწყობების და მიწისზედა სხვა ნაგებობების მშენებლობა.

ახალი შახტის მშენებლობაზე მრავალი შესანიშნავი, მამაცი ადამიანი მუშაობს. აქ არის სახელგანთქმული შახტმშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი პ. ჭელიშვილი, პ. ჭელიშვილის მთხრელთა ბრიგადას, რომელსაც არაერთხელ მოუპოვებია საკავშირო პირველობა ახალი შახტების მშენებლობაში. ამჟამად მინდობილი აქვს ყველაზე რთული და პასუხსაგები სამუშაოს შესრულება — საზიდი წოლხვრელის გაყვანა.

შახტის მშენებლობა მეტად ძნელი და რთული საქმეა. აქ ადამიანთა სმრავლით ვერაფერს გააწყობთ, რადგან 5-6 კაცისაგან შემდგარი ბრიგადის მეტს სანგრევში ვერ დატევთ. ამიტომ საჭიროა ამ მცირერიცხოვანი ბრიგადის წევრებს შორის არსებობდეს სრული შეწყობილობა, დარაზმულობა. პ. ჭელიშვილის ბრიგადა სწორედ ამ შეწყობილობით, დარაზმულობით, სანიმუშო ორგანიზებულობით არის სახელგანთქმული. ამ ბრიგადაშია ძველი გამოცდილი შახტმშენებელი ი. ბოქორიშვილი, მიწის ქვეშ მუშაობის ოსტატი დ. კლდიაშვილი. მათ გვერდს უმშვენებენ ა. ლიანჩუკი, ე. ახულაძე და სხვები. ამ სხვებზე გვინდა აქ მოკლედ შეეჩერდეთ.

ერთ-ერთი მათგანია ჭ. ფორჩხიძე. იგი შახტმშენებელთა ამ სახელოვანი ბრიგადის ყველაზე ახალგაზრდა წევრია. წელიწადზე ცოტა მეტია, რაც იგი აქ მუშაობს, მაგრამ უკვე სახელგანთქმულ შახტმშენებლად ითვლება. ამავე ბრიგადაში მუშაობს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ა. ლოლაძე. გამყვანის პროფესია მას ბრიგადირმა პ. ჭელიშვილმა შეასწავლა. ახლა საუკეთესო, კვალიფიციური გამყვანია. ასევე მოიხვეჭეს სახელი ბრიგადის სხვა წევრებმა.

დიდ წარმატებებს აღწევენ ახალი შახტის მშენებლობაზე რაციონალიზატორები და სამთო საქმის საუკეთესო ოსტატები — თ. გორგაძე, ა. შონია, კ. ბაბტაძე და შ. მუმლაძე, აგრეთვე იმ უბნის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი გ. დიდიძე ხელმძღვანელობს.

შახტმშენებლები თანდათან უფრო ღრმად იჭრებიან მიწის წიაღში. წარმატებით მიიწევს წინ ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი შახტმშენებელი ი. ქათამაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში მომუშავე გამყვანები რ. მარგილაშვილი, დ. მელაშვილი, გ. გრიგორიევი და ხ. არტამონოვი წინსვლის ყოველდღიურ ნორმებს 20-30 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებენ.

ი. ქათამაძის ბრიგადის გვერდით მაღალნაყოფიერად შრომობენ გ. ჩივაძისა და ი. მატიუშენკოს მთხრელთა ბრიგადებიც.

ტყიბულელი შახტმშენებლები პირნათლად ანაღდებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ვ. ციბეკიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სექტემბერი ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა

★ ★

ჩაის ფოთოლი განუწყვეტლივ არ იკრიფება

„კომუნისტის“ რეიდი

დადგა ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი. სამწუხაროდ, წულუკიძის რაიონში ამ გარემოებას არ ითვალისწინებენ. კოლმეურნეობებს ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულებას 669 ათასი კილოგრამი აკლიათ. ჩამორჩენას კოლმეურნეობების ხელმძღვანელები „ობიექტური“ მიზეზებით — ამინდის არახელსაყრელი პირობებით ხსნიან. მართალია, ხანგრძლივმა გვალვებმა, რაც წლევანდელ ზაფხულში იყო, შეაფერხა ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარება, მაგრამ კოლმეურნეობებში მდგომარეობის შესწავლამ ცხადყო, რომ ჩაის ნედლეულის დამზადებაში ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად აიხსნება შრომის მოუწესრიგებლობით, იმით, რომ არ წარმოებდნენ ჩაის ფოთლის განუწყვეტლივ კრეფას.

აგვისტოში მოსული წვიმების შედეგად ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩაის ფოთოლი არის, მაგრამ კრეფის ტემპი დაბალია, უკანასკნელ პერიოდში კიდევაც შენელდა. მაგალითად, რაიონის კოლმეურნეობებმა აგვისტოს მესამე ხუთდღიურში მოკრიფეს 23.390 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მეოთხეში — 20.777, ხოლო მეხუთეში — 11.663 კილოგრამი. ეს გარემოება კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს არ აღელვებთ, ჩამორჩენისათვის თავის დასაწევად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. ჩაის ნედლეულის დამზადებაში ჩამორჩენის „ობიექტური“ მიზეზებით ახსნა რომ საფუძველს მოკლებულია, ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ მაგალითს. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ფაილოძემ 26 აგვისტოს რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებთან საუბარში განაცხადა:

— რა უნდა ვქნა. ამჟამად კოლმეურნე ქალები აბრეშუმის ჭიის უვლიან და ჩაის ფოთოლს სისტემატურად ვერ ვკრეფთო.

ასეთი განწყობილების ვითარებაში, რასაკვირველია, საქმე წინ ვერ წავა. ამიტომაც აქ აგვისტოს მესამე ხუთდღიურში მხოლოდ 2.200 კილოგრამი მოკრიფეს, მეოთხეში — 2.159, მეხუთეში კი მხოლოდ 788 კილოგრამი.

უფრო ცუდად არის საქმე სოფელ კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. კუხელმა კოლმეურნეებმა უნდა დაამზადონ 120 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. 26 აგვისტოსათვის დამზადებული იყო 48.700 კილოგრამი, რაც გეგმის 40,6 პროცენტს შეადგენს. მოსალოდნელი იყო, რომ აგვისტოში კრეფას გაამლიერებდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა. ჩამორჩენა გრძელდება. ჩაის ფოთოლი მასობრივად არის, მაგრამ არ კრეფენ. გამგეობა ვერ უზრუნველყოფს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას. მაგალითად, 26 აგვისტოს მთელ კოლმეურნეობაში 50-მდე მკრეფავი მუშაობდა ნაცვლად 125-სა. თავის გამართლების მიზნით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. გორდაძემ განაცხადა, ჩაის ფოთოლი საკრეფი არ არისო. შემოწმებით გამოირკვა, რომ ფოთოლი მასობრივად არის, ყოველდღიურად შეიძლება მოიკრიფოს 1.000-1.200 კილოგრამი, ფაქტიურად კი ამის ნახევარსაც ვერ კრეფენ, ზოგჯერ სულაც არა კრეფენ. ასე მოხდა, მაგალითად, 24 და 25 აგვისტოს. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობას სეზონის დაწყებიდან არც ერთ თვეში არ შეუსრულებია ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

წულუკიძელი კოლმეურნეები სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან. სეზონის დამთავრებამდე 669 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლიათ, თუ მაქსიმალურად გამოიყენებენ შრომითს რესურსებს. ახლა ძვირფასია თვითეული დღე და საათი. უნდა მოვაწყოთ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა და მივაღწიოთ დავალების შესრულებას.

რეიდის მონაწილენი:

ი. ლოგოშვილი,
წულუკიძის მტს-ის მთავარი აგრონომი,

ბ. ჩხენკელი,
საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში,

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის კრეფაში დაინაურებულნი

2 სექტემბერი

მახარაძის რაიონი

ნორა თავაძემ სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 26 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამის ნაცვლად. სულ ერთ ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 5.800 კილოგრამი ფოთოლი, მაშინ როცა სეზონში უნდა მოეკრიფა 5.000 კილოგრამი ნედლეული.

ლუბა ცეცხლაძემ სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 35 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამის ნაცვლად. ნაკისრი ვალდებულების მიხედვით მას 9.000 კვადრატულ მეტრ პლანტაციაზე უნდა მოეკრიფა 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაგრამ უკვე მოკრიფა 5.200 კილოგრამი ნედლეული.

ცირა ღლონტმა სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობაში მოკრიფა 38 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 15 კილოგრამის ნაცვლად. სულ 0,5 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 3.950 კილოგრამი ნედლეული, რითაც მან წლიურ დავალებას 1.350 კილოგრამით გადააჭარბა.

პირობა გაანაღდეს

ქობულეთი. (საკ. კორ.). რაიონის მეჩაიეები თავდადებულად მუშაობენ, რათა სასახელოდ გაანაღდონ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდა კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც აჭარის საბჭოთა მეურნეობებს შორის პირველმა შეასრულა ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. აქ ჯერ კიდევ 28 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით მოკრეფილი იყო 2 ათას. კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი.

მარტო მეორე აგრორაიონის მუშებმა (ხელმძღვანელი ვ. ქიტიაშვილი) 7.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს.

მეურნეობის მუშებმა და აგროსპეციალისტებმა გადაწყვიტეს სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ სულ ცოტა 7.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე 5 დღეა, რაც ფოთოლს ამ ვალდებულების ანგარიშში კრეფენ.

ბევრი მოწინავე მკრეფავი მუშაობს სოფელ ფიქვნარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაშიც. მათგან გამოირჩევა კოლმეურნე ე. ბაჯელიძე, რომელმაც დღემდე მოკრიფა 4 ათასამდე კილოგრამი ფოთოლი.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 1 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება % -ობით წლიურისა	აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	89,6	78,5
ქობულეთის	80,1	56,3
ქედის	87,8	83,0
სულ აჭარაში	82,5	61,1
გალის	69,9	31,0
ოჩამჩირის	77,8	41,5
გულრიფშის	80,8	16,2
სოხუმის	82,6	35,1
გუდაუთის	63,5	9,6
სულ აფხაზეთში	72,4	31,2
მახარაძის	77,4	51,7
ჩოხატაურის	74,6	34,6
ლანჩხუთის	80,5	59,6
სამტრედიის	69,0	28,7
წულუკიძის	57,0	20,7
ქუთაისის	67,3	27,7
წყალტუბოს	77,7	27,0
ტყიბულის	81,1	54,9
ცხაკაიას	64,2	34,8
აბაშის	49,8	8,5
გეგეჭკორის	80,3	65,0
ზუგდიდის	71,3	42,4
წალენჯიხის	89,0	85,6
ჩხოროწყუს	84,9	75,1
ხობის	81,8	64,4
თერჯოლის	75,6	10,4
ზესტაფონის	58,0	2,8
ჭიათურის	98,0	43,3
ვანის	109,0	5,0
სულ საქ. სსრ-ში	77,1	49,7

გეგმის გადამეტებით

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობა ახალი სასახელო მიჩვენებლებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. კოლმეურნეობა სულ უფრო და უფრო მტკიცდება ეკონომიურად. მიმდინარე წელს მისი ფულადი შემოსავალი 5 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ძირითადი ფულადი შემოსავლის წყარო აქ ჩაის კულტურაა, რომლის მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წელს კოლმეურნეობას გეგმით 406 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა მოეკრიფა. ფაქტიურად 29 აგვისტოსათვის ეს დავალება პირნათლად გაანაღდა.

განსაკუთრებით ქების ღირსია ამ კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადა (ხელმძღვანელი ბ. თოდუა), რომელსაც ჩაის კრეფის წლიური დავალება 105,8 პროცენტით აქვს განაღდებული, ნაცვლად 34 ტონისა მოკრეფილი აქვს 36 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩაის კრეფის წლიური დავალება ვადამდე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მეორე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ბრიგადებმა (ხელმძღვანელები ჯ. დარსალია, პ. ბერია, რ. ბერულავა და გ. თოდუა).

დიდ წარმატებას მიაღწია კოლმეურნე ტატუშა გოგუამ. იგი ყოველდღიურად 50-55 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს, რითაც ყოველდღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებს. გოგუას დღემდე ნახევარ ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 4,1 ტონა ნაცვლად ნაკისრი 3 ტონისა. ახალი ვალდებულებით იგი სეზონის ბოლომდე 1 ტონა ჩაის მოკრეფას გეპირდება.

ტატუშას არც ლიდა, ცაცა და ფოთო ლაგვილავები, ჟუჟა ქობალია, მაცა და ვენერა დარსალიები ჩამორჩებიან.

ნაფიჩხოვოელ მეჩაიეთა ვალდებულებაა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 50 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული. ამ ვალდებულების განაღდება ღირსეული საოქტომბრო საჩუქარი იქნება საყვარელი დედა სამშობლოსათვის.

ჟ. გოგუა,
ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის „სტალინის დროშით“ რედაქტორი.

ვალდებულება შეასრულეს

გალის რაიონის სოფელ შუშელეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხუთი წელია დაწინაურდა მეოთხე ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. შამუგია). ბრიგადის წევრები სასახელოდ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას ჩაის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ბრიგადამ ჩაის ფოთლის კრეფის ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

საოქტომბრო ვალდებულება უკვე გაანაღდეს მოწინავე მეჩაიეებმა შ. მალიშავამ, ნ. მარკელიამ, ს. ქვაჩახიამ, ნ. ჯუგუტიამ და სხვებმა. თვითეულმა მათგანმა 0,5 ჰექტარზე 3 ტონამდე მაღალხარისხოვანი ჩაი მოკრიფა. ფოთლის კრეფაში დაწინაურდა აგრეთვე მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. ხუციანავა).

გ. ხეცურიანი.

წარჩინებული მეჩაიეს პატრიოტული საქმე

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას წელს მისცენ მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კოლმეურნე ტ. გრიგოლაია. მან სახელი მოიხვეჭა დაუღალავი შრომით და კარგად დაეუფლა ჩაის მოყვანის აგროტექნიკას.

ტ. გრიგოლაია ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის, ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას დროულად და მაღალხარისხოვნად ახორციელებს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვალდებულება იკისრა, რომ წელს ნახევარ ჰექტარზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 4.700 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი, მაშინ როცა წლიური გეგმა 2.500 კილოგრამს ითვალისწინებს.

ტ. გრიგოლაიამ ვალდებულება უკვე გაანაღდა—4.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ახალი ვალდებულება იკისრა — სეზონის დამთავრებამდე დამატებით მოკრიფოს და მრეწველობას ჩააბაროს 1.000 კილოგრამი ნედლეული. ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი კვლავ დაუღალავ შემოქმედებითს შრომას ეწევა, რომ პირობა გაანაღდოს.

ხუთაფზე: წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ტ. გრიგოლაია ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

საბინაო მშენებლობის უბნებზე

უზრუნველვყოთ შეუფერხებელი მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბურთალოზე, ლისისა და პავლოვის ქუჩების კუთხეში ორი დიდი საცხოვრებელი სახლისაგან შემდგარი შესანიშნავი ანსამბლი შენდება. ერთი სახლი ხუთსართულიანია 36 ბინით, მეორე, მასთან კუთხით მიდგმული სახლი — ოთხსართულიანი 30 ბინით. 66 მობინადრე მოელის ამ სახლებში მათთვის განკუთვნილ კეთილმოწყობილ ახალ ბინებში შესახლებას და იმედი აქვთ, რომ მშენებლები დაპირებას შეუსრულებენ — სახლების მშენებლობას დანიშნულ ვადაზე ადრე დაამთავრებენ. ასეთი ვალდებულება მშენებლებმა აგვისტოს დასაწყისში იკისრეს სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

თვე გავიდა მშენებელთა მიერ ამ ვალდებულების აღების შემდეგ, მაგრამ საცხოვრებელი ანსამბლის საექსპლოატაციოდ გადასაცემად ცოტა რამ არის გაკეთებული. თუ ასე გაგრძელდა, მშენებლები დაპირებას ვერ განაღდებენ, მომავალი წლის დიდი სამშენებლო პროგრამის შესრულებისათვის სათანადოდ ვერ მოემზადებიან. ასე ამბობენ მშენებლობის მუშები და ინჟინრები—ბ. ტეგეშიძე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი, რ. ქოქიაური — მეტეტონეთა ბრიგადირი, ს. მუშელიანი — კალატოზთა ბრიგადირი.

მშენებლებს ჯერჯერობით, სანამ კედლების ასაყვანად მომარაგებული ტუფის ქვა არ გამოლევიათ, ყოველდღიურად სჭირდებათ 10.000 ცალი აგური. ასეთი რაოდენობით მათ აგურს იქვე მეზობლად მდებარე საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნიდან ვერ აწვდიან ავტოტრანსპორტის სიმცირის გამო. აგურის შტაბელებით ქარხნის ეზო ავსებულია, მაგრამ მისი დროულად ტრანსპორტირება სამშენებლო ობიექტებზე ხშირად ბრკოლდება. მოკლე ხანში, როცა მშენებლებს ზედა სართულების საკედლე მასუბუქი ქვა შემოელევათ, მათ ყოველდღიურად სულ ცოტა 20.000 ცალი აგური დასჭირდებათ. ახლა კი დღეში ხან 5-6 ათასი ცალი მოაქვთ ავტომანქანებს, ხან უფრო ნაკლებიც, ხოლო იშვიათი არ არის ისეთი დღეები, როდესაც სულაც არ მოაქვთ.

მოსაწესრიგებელია მშენებლებისათვის სასართულთაშორისო გადასახურავად დიდი ფილების მიწოდების საკითხი. მშენებლები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ამ ფილების ხარისხი თბილისის რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა ბოლო ხანებში შესამჩნევად გააუმჯობესა, მაგრამ ფილების მშენებლებისათვის მიწოდების გრაფიკი მაინც არ არის დაცული და ამის მიზეზიც ავტოტრანსპორტის გაუმართავი მუშაობაა.

მშენებლები მოითხოვენ, რომ ავტოტრანსპორტის მუშაობის საკითხი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური განხილვის საგანი გახდეს. ავტომძღოლებს შორის, რომელთაც მშენებლების დასახმარებლად გზავნიან, აქა-იქ გამოერევიან ხოლმე უდისციპლინო, არაორგანიზებული, გამორჩენის მოტრფიალე ადამიანები, რომლებიც მეტად უხალისოდ მუშაობენ, ცუდლუტობენ და სამუშაოზე მოსვლას აგვიანებენ. საჭიროა მათს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მათი დაზრდა, მშენებლების მომსახურებისათვის მოწინავე მძღოლების გაგზავნა.

უახლოეს დღეებში მშენებლები ნაკადური წესით მუშაობის მეთოდზე გადადიან. კედლების აყვანის და სამშენებლო სამუშაოების წარმოების პარალელურად გაჩაღდება შელესვის და ოთახების შიგნითა მოწყობის სამუშაოები. მშენებლები მომარაგებულ უნდა იქნან ყველა საჭირო მასალებით — ცემენტით, ქვიშით, პარკეტით, სადურგლო დეტალებით და ა. შ. ჯერჯერობით კი მათ ეს დეტალები არა აქვთ. მთავარბინაშენის იდუსტრიულ საწარმოთა სამმართველომ უნდა დაჩქაროს სათანადო დეტალების დამზადება და შეუფერხებლად მოამარაგოს მშენებლები.

* * *

წიშანსვეტივით მაღლა აღმართულა ახმახი მოსიარულე კომკურა ამწე. მისი სამართავის მერცხლის ბუდესავით პატარა კაბინის სიმაღლიდან მთელ საბურთალოს გადაჰყურებს ამწის მემანქანე ყარამან ნარიმანიძე.

— გული გაგიხეთდება კაცს, საბურთალოზე გაჩაღებული ბინათმშენებლობის სრულ პანორამას რომ ხედავ, — ამბობს იგი.

მაღლა აზიდული მრავალსართულიანი სახლები ჩამწკრივებულან ლარივით სწორ ქუჩებზე. თბილისის ამ ახალ და დიდ საცხოვრებელ რაიონში. პავლოვისა და ლისის ქუჩები ამ რაიონის ცენტრალური მაგისტრალებია, ხოლო ამ მაგისტრალების დასამშვენებლად ინჟინრები ნ. ჩაჩუა, ჯ. სოხაძე, კალატოზი ზ. მოდრეკილაძე, ხუროო ვ. კაპუსტინი და ათობით სხვა მშენებელი აგებენ მარტივი, მაგრამ ეროვნული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ანსამბლს.

და როდესაც ღილით მათი მომსახურებისათვის გამოგზავნილი ავტომობილები იგვიანებენ და მშენებლები იძულებული არიან გაცდენ, ისინი სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ ავტოტრანსპორტის მუშაობის მოუწესრიგებლობის გამო.

მთავართბილმშენმა უნდა მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მშენებლების მომსახურება ტრანსპორტით.

დ. ამირანიძე.

* * *

სურათზე: საცხოვრებელი ანსამბლის მშენებლობაზე პავლოვისა და ლისის ქუჩების კუთხეში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კულტურული ცხოვრების გზით

დიდი კულტურული მუშაობაა გაჩაღებული ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველ სენაკში. სტალინის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში დაიდგა 500 ვატის სიმძლავრის რადიოკვანძი. მოწყობილია 360 რადიოწერტილი.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის ელექტროფიკაციას. აგებულია სამი ელექტროქვესადგური.

სოფლის ცენტრშია მდიდარი სასოფლო ბიბლიოთეკა და კლუბი, სადაც ყოველდღე იყრიან თავს კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია. ძველსენაკელებს აქვთ ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და სამი დაწყებითი სკოლა, სადაც მშრომელთა ასობით შვილი ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. მოწყობილია საბავშვო ბაღი და ბაღი.

ს. კუჭავა.

დასვენების დღეებს შინაარსიანად ატარებენ

ფოთი. (საკ. კორ.). კვირადღეობით ასობით მუშა-მოსამსახურე მიეშურება დასასვენებლად მალთაყვაში, რომელიც ქალაქს დაშორებულია 5 კილომეტრით. მალთაყვის ბუნებრივი პირობები, ზღვა, კარგი პლაჟი იზიდავენ მშრომელებს. ბევრი მუშა-მოსამსახურე დასასვენებლად მიდის პალიასტომის ტბაზე, ფიჩორში. ისინი სუფთა ჰაერზე იკეთებენ სხეულს, ერთობიან, ნადირობენ.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში ეწყობა სახალხო სეირნობა, მასობრივი ცეკვების საღამო. საზაფხულო ესტრადაზე უკრავს სასულე ორკესტრი, მუშაობს კარუსელი, სხვადასხვა ატრაქციონი. საზაფხულო თეატრში სისტემატურად იმართება მხატვრული კოლექტივების გამოსვლა, საღამო-კონცერტები, ლექციები.

ახალი საფოთიაქო მაღაზია

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ტერიტორიას შეემატა კიდევ ერთი ახალი ობიექტი — ავტოქარხნის ქუჩაზე გაიხსნა მთავარი საფოთიაქო სამმართველოს ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორის საფოთიაქო მაღაზია.

მაღაზიაში, რომელიც კულტურულად არის მოწყობილი, იყიდება მედიკამენტები, სპარფიუმერიო საქონელი და სხვ.

წერილები რედაქციას

რა აფერხებს კინოძსელის მუშაობას?

წელს თერჯოლის რაიონში კინოქსელის მუშაობა მკვეთრად გაუმჯობესდა. განვლილ პერიოდში დიდი გადაჭარბებით შესრულდა ფილმების ჩვენების გეგმა. რაიონის ცენტრში, აგრეთვე მთელ რიგ კოლმეურნეობებში — ზედა საზანოში, თუზში, ქვედა ალისუბანში, ეწერსა და ზედა სიმონეთში რეგულარულად უჩვენებენ ახალ მხატვრულ კინოფილმებს.

ასე არ ითქმის გოგნის ნინოშვილის სახელობის, რუფოთის მარქსის სახელობის, თუზის გორკის სახელობისა და საზანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობათა შესახებ. მათ წევრებს წელს არც ერთი კინოფილმი არ უნახავთ.

ამის მიზეზია უგზოობა და კინოფილმის ჩვენებისათვის საჭირო ბინის უქონლობა. სოფელ გოგნს არ უვარგა მისასვლელი გზა. ეს აძნელებს ავტომანქანებით კინოდანადგარების გადატანას. რუფოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის, თერჯოლის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის“, ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ხელმძღვანელები კოლმეურნეთა მოთხოვნის მიუხედავად არ ზრუნავენ კინოფილმების საჩვენებელი ბინების გამონახვისათვის.

ვფიქრობთ, ამ საქმით დაინტერესდებიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები.

ვ. გოგელაშვილი,
თერჯოლის რაიონის კულტურის განყოფილების ინსპექტორი.

სატელეფონო კავშირი მოუწესრიგებელია

კავშირგაბმულობის ზესტაფონის რაიონულ განყოფილებაში (უფროსი ი. ცერცვაძე) სატელეფონო ხაზები წესრიგში არ არის. ცენტრალურ და საქალაქთაშორისო სადგურებში ხაზების შემაერთებლების დაზიანების გამო თვეობით გაწყვეტილია სატელეფონო კავშირი რაიონის საწარმო-დაწესებულებებთან, სასოფლო საბჭოებთან და კოლმეურნეობებთან.

სატელეფონო ხაზების უვარგისობის გამო ხშირად შეუძლებელი ხდება კავშირის დამყარება როდინოულის, ბოლევის და ძირულის სასოფლო საბჭოებთან. სამ თვეზე მეტია დაზიანებულია სოფელ ძირულის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობასთან დამაკავშირებელი ხაზი და მისი შეკეთებისათვის არავის უზრუნია. უფრო მეტიც, ამ სოფლების ტერიტორიაზე დაზიანებული ხაზებიდან მავთული მოიპარეს. ეს თავის დროზე აცნობეს მილიციის რაიონულ განყოფილებას, მაგრამ მას დამნაშავენი დღემდე არ აღმოუჩენია.

სატელეფონო სადგურის მორიგეები ნ. რევიშვილი, ვ. ხარაძე და სხვები უპასუხისმგებლოდ მუშაობენ, კლიენტებს დაგვიანებით აძლევენ პასუხს კითხვებზე და უხეშად ეპყრობიან. კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის ხელმძღვანელები ასეთი უხეირო მუშაკების წინააღმდეგ ზომებს არ იღებენ.

ნაკლოვანებანი კლიენტთა მომსახურებაში იმის შედეგიც არის, რომ რაიონულ განყოფილებაში არ იმართება საწარმოო თათბირები, ჩაშლილია ტექნიკური სწავლება, სუსტად არის დაყენებული საინფორმაციო-მასობრივი მუშაობა.

კავშირგაბმულობის ზესტაფონის რაიგანყოფილების მუშაობაში წესრიგი უნდა დამყარდეს.

ა. ჭიჭინაძე,
სოფლკორი.

მეტი ყურადღება ქვიშხეთის კეთილმოწყობას

კურორტი ქვიშხეთი ზაფხულობით ბევრ მოჯარაკეს იზიდავს. ქვიშხეთის ჰავა განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ბავშვებზე. ამიტომ აქ საგარაკოდ მრავალი პიონერბანაკი და საბავშვო ბაღი ჩამოდის.

ადგილობრივი მოსახლეობის და დამსვენებელთა უკეთ მომსახურება დიდად არის დამოკიდებული კურორტის კეთილმოწყობაზე, მაგრამ ამ მხრივ ქვიშხეთში ყველაფერი რიგზე არ არის.

რამდენიმე წლის წინათ ქვიშხეთის კოლმეურნეობამ საერთო სარგებლობის აბანო ააგო, რაზეც საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა. ადგილობრივი მოსახლეობის გარდა აბანო მომსახურებას უწევდა დამსვენებლებსაც, მაგრამ მისი მუშაობა ხანმოკლე გამოდგა, რადგან აბანო ისეთ ადგილზეა აშენებული, რომ ძნელია წყლით მომარაგება. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე გ. გვარამაძე) თავს არ იწუხებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კეთილმოწყობილი არ არის ქვიშხეთის საუბნო გზები და ადგილობრივი ბაზარი. მთავარი ქუჩა გაუნათებელია. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით როგორც ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს, ისე კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს.

არის სხვა ნაკლოვანებებიც. რკინიგზის ქვიშხეთის ბაქანზე ყოველდღე ბევრი მგზავრი იყრის თავს. ბაქნიდან 150 მეტრის დაშორებით არის ცივი წყარო, რომელიც რამდენიმე მოსახლეს ემსახურება. წყლის დებიტი დიდია და შეიძლება მისი ბაქნამდე მიყვანა, რაც გაუმჯობესებდა მგზავრთა მომსახურებას. ამ საკითხის მოგვარება ადვილად შეუძლია ხაშურის ბინათა და ნაგებობათა დისტანციას, მით უმეტეს, რომ ამისათვის დიდი თანხები არ არის საჭირო.

ვფიქრობთ, ჩვენს წინადადებებს სათანადოდ გამოეხმაურებიან და იზრუნებენ იმისათვის, რომ კურორტი ქვიშხეთი უფრო კეთილმოწყობილი გახდეს.

პენსიონერი გ. დარსაველიძე.

საერთაშორისო მიმოხილვა

მშვიდობისათვის

ძნელი არ არის იმ ფაქტის ახსნა, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება განიარაღების შესახებ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით და საკადესის ცნობა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის შესახებ ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ჩვენს ეპოქაში, როცა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები — საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი—ფლობენ უდიდესი დამანგრეველი ძალის თერმოატომგულის იარაღს, განიარაღებისა და ატომგულის იარაღის აკრძალვის პრობლემებზე უშუალოდ ეხება ყოველ ქვეყანას, გახდა დედამიწის ყოველი ოჯახის პირადი საქმე. მიუხედავად დასავლეთის გარკვეული წრეების ცილისმწამებლური კამპანისა, თითქოს საბჭოთა კავშირი ემუქრება მთელ მსოფლიოს, სწორედ ჩვენი ქვეყანა და მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა გამოხატავენ მთელი კაცობრიობის იმედებს. და საგულისხმოა, რომ ამის გაგება გაიზარდა სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი გახდა პირველი მფლობელი „აბსოლუტური იარაღისა“ (ასე უწოდებს დასავლეთის პრესა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტს), ესე იგი იმ იარაღისა, რომლისგანაც ამჟამად თავდაცვა არ შეიძლება.

ცნობილია, რომ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირზე ადრე გახდნენ ატომური ბომბის მფლობელნი, როცა 1945 წელს გამოიყენეს, თუმცა ეს არ იყო ნაკარნახევი სამხედრო საჭიროებით, მსაბრივი მოსპობის იარაღი იაპონის ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის წინააღმდეგ. შეერთებული შტატების დროებითმა უპირატესობამ ატომური შეიარაღების დარგში წარმოშვა თეორია „მსოფლიოსადმი ამერიკის ხელმძღვანელობის“ შესახებ, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, „ცივი ომისა“ და „ომის ზღვარზე ბალანსირების“ პოლიტიკა. იმ პერიოდის ამერიკული გაზეთები სავსეა ტრაბახი ხმაურით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების შესახებ და იმის განგარიშებით, თუ რამდენი საათის შემდეგ, რომელი ბაზებიდან და რომელ საბჭოთა ობიექტებს მიაყენებს პენტაგონი „ატომურ დარტყმას“. 1950 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა განაცხადა, რომ „საბჭოთა კავშირთან საქმის წარმოების ერთადერთი საშუალებაა... შეიქმნას სიტუაცია, რომლის დროსაც ანგარიშს უწევენ ძალას“. ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეებს, — წერდა ამერიკელი მეატომე ფიზიკოსი ლეპი, — ატომური ბომბი მიაჩნიათ „უძლიერეს კეტად“ მათს პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ“.

ცნობამ 1949 წელს საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდის შესახებ ვერ გაუგრილა ცხელი თავი სამხედრო ავანტიურების მოყვარულებს. პირიქით, როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს სამხედრო მიმომხილველი ფეი ადასტურებს, 1950 წელს ლაპარაკი სსრ კავშირის წინააღმდეგ „პრევენტიული“ (ესე იგი „გამაფრთხილებელი“) ომის შესახებ „უბრეცენდენტო მასშტაბს აღწევს“.

1954 წელს, უკვე მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოსცადეს წყალბადის იარაღი, ამერიკულ ჟურნალ „ფორჩუნში“ დაიბეჭდა საინტერესო სტატია, რომლის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჰაერში კონტროლს განსაზღვრავს, „საკონტინენტთაშორისო სამართავი ყუმბარების ეპოქის“ დაწყებამდე მაინც, ის, ვის მხარეზეც იქნება უპირატესობა ახალ სახეობათა ზეშეიარაღებისა როგორც დიპლომატიურ, ისე სამხედრო დარგში“. სტატიის ავტორს მოჰყავს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის აზრი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირს „უკვე ახლა შეუძლია დაიწყოს მსოფლიო ლაშქრობა, დარწმუნებული რომ იყოს თავის გადამწყვეტ უპირატესობაში ახალ სახეობათა იარაღის დარგში...“

„საკონტინენტთაშორისო ყუმბარების ეპოქა“ დაიწყო. ყველა სერიოზული სპეციალისტის აზრით, საბჭოთა კავშირის უდიდესმა ტექნიკურმა მიღწევებმა უზრუნველყო მისთვის უპირატესობა შეერთებულ შტატებზე ახალ სახეობათა იარაღის დარგში. მერე რა, განა დაიწყო საბჭოთა კავშირმა „მსოფლიო ლაშქრობა“? განა ქადაგებს იგი „ძალის პოლიტიკას“ და „პრევენტიულ ომს“, როგორც ამას სჩადიოდნენ შეერთებული შტატები, დაწყებული 1945 წლიდან?

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად განაგრძობს თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მოითხოვს განიარაღებას და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას. საკადესის ცნობის თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის განცხადება განიარაღების შესახებ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით — დოკუმენტი, რომელიც გამსჭვალულია ჭეშმარიტი მშვიდობისმოყვარეობით და მტკიცე სურვილით მიღწეულ იქნას იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც მთელ კაცობრიობას აღელვებს.

ეს ობიექტური ფაქტები ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ ამხელენ კაპიტალისტური მსოფლიოს მტრულ იდეებს, დასავლეთის გარკვეული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ ნდობას საბჭოთა საგარეო პოლიტიკისადმი, აამხედრონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა წინააღმდეგ. „საბჭოთა მშვიდობის პოლიტიკის უძლეველი ძალა, — წერს რუმინული გაზეთი „სკინტეია“, — მდგომარეობს არა მარტო სსრ კავშირის მეცნიერულ და ტექნიკურ საშუალებათა უპირატესობაში, არამედ იმაშიც, რომ საბჭოთა პოლიტიკას სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს მსოფლიოს ხალხები“.

საბჭოთა კავშირის უკანასკნელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უდიდესი მნიშვნელობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ის არის, რომ ისინი ამსხვრევენ ომის გამჩაღებელთა ყველა სტრატეგიულ გეგმას. „დასავლეთის სტრატეგიის ჩაფუშვამ, — აღნიშნავს პოლონური გაზეთი „ექსპრეს ვეჩორნი“, — რა თქმა უნდა, დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. სანამ საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ეს გადამწყვეტი იარაღი, ამერიკის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჰქონოდათ ილუზია, რომ ახალი მსოფლიო ომის შემთხვევაში შეერთებული შტატების ტერიტორია ხელუხლებელი დარჩებოდა. დღეს ასეთი ილუზიები შეერთებულ შტატებში აღარავის აღარ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, გამაფხიზლებლად უნდა იმოქმედოს ყველაზე პირწავარდნილ ავანტიურისტებზე და დასავლეთის პოლიტიკოსები მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ დადონ საბჭოთა კავშირთან შეთანხმება განიარაღების საკითხზე.

ასეთსავე დასკვნამდე მივიდა აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე. მაგალითად, კანადის პრემიერ-მინისტრმა დიფენბეიკერმა ხაზგასმით აღნიშნა: იმის გამო, რომ სსრ კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს საკონტინენტთაშორისო ყუმბარების შექმნაში, საჭიროა გავაორკეცოთ ღონისძიებანი შეთანხმების მისაღწევად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

რა თქმა უნდა, დასავლეთის პრესაში ფართო გამოხატულება ჰპოვა იმ წრეების თვალსაზრისმაც, რომლებიც, ფარავენ რა თავიანთ დაბნეულობას, ახლა კიდევ უფრო ინტენსიურ გამალებულ შეიარაღებას მოითხოვენ კერძოდ, ასეთ პოლიტიკას იცავენ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები. ადენაუერის პარტიის ლიდერები, რომლებიც თავიანთ წინასაარჩევნო პროპაგანდას (15 სექტემბრის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბუნდესტაგის არჩევნები გაიმართება) „ძალის პოლიტიკაზე“ და ნატოს ძლიერების ქება-დიდებაზე აგებენ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ ისინი, როცა ცდილობდნენ შეემცირებინათ საბჭოთა მიღწევების მნიშვნელობა.

რამდენადაც დასავლეთის ხელმძღვანელებისათვის ახლა შეუძლებელია იტრაბახონ თავიანთი უპირატესობით შეიარაღების დარგში, ისინი ცდილობენ თავი გაასაღონ განიარაღების ინიციატორებად და მშვიდობის დამცველებად. საბჭოთა განცხადების ორი დღის შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები განიარაღების ქვეკომიტეტში გამოვიდნენ ეგრეთწოდებული „მუშა დოკუმენტით“ ნაწილობრივ ღონისძიებათა შესახებ განიარაღების დარგში. დოკუმენტის მიზანია დაამტკიცოს, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ შეთანხმება საბჭოთა კავშირთან, ხოლო ეს უკანასკნელი თითქოს აბრკოლებს შეთანხმების მიღწევას. ამაო ცდებია ნათელ და მკაფიო საბჭოთა წინადადებებთან შედარებით, რომლებსაც საბჭოთა მთავრობის განცხადება შეიცავს, დასავლეთის სახელმწიფოთა „მუშა დოკუმენტი“ უბადრუკი ცდაა გაამართლონ ის, რომ ისინი დაინტერესებული არ არიან განიარაღების პრობლემის გადაჭრით.

„მუშა დოკუმენტი“, ისევე როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა წინანდელი წინადადებანი, ფაქტიურად უარყოფს საბჭოთა წინადადებას თერმოატომგულის იარაღის აკრძალვის შესახებ, ხოლო ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას (12 თვითაც კი) ისეთ შენიშვნებს უკეთებს, რომლებიც არარად გადააქცევენ ასეთი ღონისძიების ეფექტს. რაც შეეხება დებულებას, რომელსაც „მუშა დოკუმენტი“ შეიცავს, რომ ატომგულის იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნას „თავდაცვისათვის“, იგი არსებითად მიმართულია მასობრივი მოსპობის იარაღის დაკანონებისაკენ. ყოველივე ამას უნდა დავძინოთ, რომ კონტროლის დარგში „მუშა დოკუმენტი“ იმეორებს დასავლეთის სახელმწიფოთა ცნობილ წინადადებებს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ტერიტორიების აეროფოტოგადაღების შესახებ და კონტროლგარშემო ტოვებს საბჭოთა კავშირის გარშემო შეერთებული შტატების მიერ შექმნილ მრავალ სამხედრო ბაზას. ამასთან დაკავშირებით წინადადებას კონტროლის შესახებ ისეთი ღონისძიების ხასიათი ეძლევა, რომელიც მიზნად ისახავს სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას.

„მუშა დოკუმენტში“ „ახალია“ წინადადება შეიქმნას „ტექნიკური კომიტეტი“, იმისადმი კონტროლისათვის, რომ „საგნების გაშვება კოსმოსის სივრცეში“ წარმოებდეს „მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი და მეცნიერული მიზნით“. ადვილი გასაგებია, რით არის გამოწვეული ეს ახალი წინადადება.

„მუშა დოკუმენტის“ დამცველები ამტკიცებენ, რომ ამჟამად საჭიროა გადაიდგას „პირველი ნაბიჯი“ განიარაღების დარგში. საბჭოთა კავშირი ყოველთვის აღნიშნავდა განიარაღების დარგში პირველი ნაბიჯის დიდ მნიშვნელობას და ამ მიზნით არაერთხელ გაუწევია ანგარიში დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილისათვის. მაგრამ ის, რასაც ისინი ახლა მოითხოვენ, არსებითად მიზნად ისახავს მიაძინოს სიფხიზლე ხალხებისა, რომლებიც მტკიცედ მოითხოვენ რადიკალურ ღონისძიებებს განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის დარგში.

საბჭოთა მთავრობის განცხადება შეესაბამება ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ მას მხურვალედ დაუჭერა მხარი ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა, სწორედ ამიტომ გამოიწვია მან გაბოროტება იმპერიალისტთა ბანაკში.

ს. ივანოვი.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრიუსელი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „დრაპო რუჟის“ ცნობით, 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის რენე ბელენის მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ და შეიმუშავა მშვიდობისათვის და მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის პარტიის ბრძოლის გაძლიერების პროგრამა.

ბელგრადში ჩავიდა საბჭოთა კოოპერაციული დელეგაცია

ბელგრადი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ბელგრადში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კოოპერაციული დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარე ა. ჯ. კლიმოვი. დელეგაცია იუგოსლავიაში დარჩება ორ კვირას და ამ ხნის განმავლობაში დაათვალიერებს სერბიის, ვოივოდინის, ხორვატიის, სლოვენიის, ბოსნიის, ჰერცეგოვინის, მაკედონიის კოოპერაციულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს.

დელეგაცია აგრეთვე მოლაპარაკებას გამართავს იუგოსლავიის ცენტრალურ კოოპერაციულ კავშირთან საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის კოოპერაციული ორგანიზაციების თანამშრომლობის შესახებ.

მდგომარეობა ომანში

კაირო, 2 სექტემბერი. (საკდესი). ომანის წარმომადგენელმა კაიროში მუჰამედ ელ-ჰარსიმ განაცხადა, რომ ომანში გრძელდება ბრძოლა აგრესორთა შეჭრილი ჯარების წინააღმდეგ. ეროვნულმა შეიარაღებულმა ძალებმა, თქვა მან, დამარცხება აგვიყვანეს სულთნის ჯარების ბრძოლებში სოფელ გამრთან და ფარაკთან. ჰარსიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულმა ძალებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ინგლისური იარაღი, რომლითაც შეიარაღებული არიან მასკატის სულთნის ჯარები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აეროფოტო გამოცდები გრძელდება

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, დღეს გამოსაცდელ პოლიგონზე ნევადის შტატში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს საზაფხულო ატომური გამოცდების სერიის სათვალავით მეთექვსმეტე ატომგულის აფეთქება.

ჟურნირი მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის

ჰაგა, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ემენში (ჰოლანდია) გაიხსნა მსოფლიოს გუნდური პირველობის ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. ტურნირში მონაწილეობენ 20 ქვეყნის მოჭადრაკეები.

საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ოლგა რუბცოვა და სსრ კავშირის ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი კირა ზვორიკინა. საბჭოთა გუნდის კაპიტანია საერთაშორისო ოსტატი ა. მ. კონსტანტინოპოლსკი.

ტურნირი 21 სექტემბრამდე გასტანს. 3 სექტემბერს გაიმართება პირველი ტური.

ემზადებიან ილიას იუბილესათვის

წელს სრულდება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავი.

ამ მნიშვნელოვანი თარიღის შეხვედრისათვის გაცხოველებით ემზადებიან აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებებში. სოხუმის რაიონულ ხაბაევის ბიბლიოთეკაში არის ილიას კუთხე, მოწყობილია ლიტერატურის ვიტრინები. აქ წარმოდგენილია ილიას თხზულებათა ტომები და ცალკეული შრომები, აგრეთვე მასალები ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, არის სარეკომენდაციო ლიტერატურის სია.

ამჟამად ბიბლიოთეკა ემზადება ილიასადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენციისათვის.

სურათზე: ბიბლიოთეკის გამგე ვ. მარღანია ნორჩ მკითხველებს ეხმარება ილიას მოღვაწეობის შესახებ ლიტერატურის არჩევაში.

ფოტო და ტექსტი **ნ. ჯომიდავასი.**

სპორტის ამბები

საერთაშორისო შეხვედრა

ფლორენციაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ფლორენციის ცნობილი კლუბის „ფლორენტინას“ გუნდები. მატჩი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

დამთავრდა მძლეოსანთა შეჯიბრება

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დამთავრდა მძლეოსნობაში სსრ კავშირის პირველობის გათამაშება.

შეჯიბრების უკანასკნელი დღე აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების მორიგი წარმატებით. ბრძოლა 5.000 მეტრზე რბენაში ძირითადად მიმდინარეობდა კუცსა და ბოლონიკოვს შორის. გაიმარჯვა კუცმა, რომელმაც მანძილი გაირბინა 13 წუთსა და 48,6 წამში. ეს დრო მიმდინარე წლის სასპორტო სეზონის საუკეთესო შედეგია.

გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის პირველი იყო ჩენჩიკი. იგი გადახტა 1 მეტრსა და 74 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სამმაგ ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა რიახოვსკიმ (16 მეტრი და 29 სანტიმეტრი).

ევროპის პირველობაზე

დასავლეთ გერმანიის ქალაქ დუისბურგში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ევროპის პირველობის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოთხთა შორის. ეს შეჯიბრება მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი მასობრივი ასპარეზობა იყო.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა გერმანიის ნიჩბოსანთა კოლექტივმა, რომელმაც 12 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვა. საბჭოთა კავშირის გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა. მან 2 ოქროს, 16 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობა

კრასნოდარსა და თბილისში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა უძლიერესი გუნდების დასკვნითი შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე.

წარმატებით ჩაატარეს ჩემპიონატი მოსკოვის ლოკომოტიველებმა, რომლებმაც 22 მატჩიდან 21 მოიგეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. დედაქალაქის „ლოკომოტივის“ ფრენბურთელთა კოლექტივი მერვეჯერ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

მომდევნო ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ სპორტსმენთა კოლექტივებმა. თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდმა უფერულად და სუსტად ჩაატარა შეხვედრათა უმრავლესობა, რის შედეგად დატოვა „ა“ კლასი.

პირველობის გათამაშების დამთავრების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფრენბურთელებს საზეიმოდ გადაეცათ ოქროს მედლები, დიპლომები და ჩემპიონის მაისურები.

იზრდება ინდივიდუალურ ბინათმშენებელთა რიცხვი

ბაშური. (საკ. კორ.). ქალაქ ხაშურში ყოველწლიურად იზრდება ინდივიდუალურ ბინათმშენებელთა რიცხვი. წელს 64 მშენებელს მიცემული აქვს 450.000 მანეთი გრძელვადიანი სესხი. ქალაქში ბევრმა მცხოვრებმა აიშენა ლამაზად ნაგები კაპიტალური სახლები. ბინათმშენებლებს ხელს უწყობს ისიც, რომ ქალაქს გაზრდის საშუალება აქვს თავისი მდებარეობის მიხედვით. ადგილზევე იშოვნება ძირითადი საშენი მასალა: ქვა, ხრეში, აგური, კირი და სხვ.

ამას წინათ რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილებამ ჭალისუბანში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს და ძირითადად ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს ემსახურება. წელს ქარხანამ 507 კუბმეტრი მრგვალი ხის მასალა დახერხა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ

ბუდაპეშტი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დიერ-შოპრონის ოლქის სახელმწიფო კრების დეპუტატთა ჯგუფმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კონკრეტული მაგალითებით გაბათილებულია „ხუთთა კომიტეტის“ მონაჩორი 1956 წლის შემოდგომაზე დიერ-შოპრონის ოლქის ამბების შესახებ.

ჩვენ, სახელმწიფო კრების დეპუტატებს, ნათქვამია წერილში, რომლებიც კონტრრევოლუციური ამბების პერიოდში ჩვენს ამომრჩეველთა შორის ვიმყოფებოდით და მათთან ერთად ჩვენი თვალით ვნახეთ ეს ამბები, შეგვიძლია დამშვიდებული სინდისით განვაცხადოთ, რომ ამომრჩეველნი ნდობით ეკიდებიან მთავრობას იანოშ კადარის მეთაურობით და იწონებენ მის მოღვაწეობას.

ჩვენ, როგორც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების კანონიერად არჩეული წევრები, პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტი საეჭვოდ თვლის უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის კანონმიერებას.

შემდეგ წერილში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმპერიალისტური წრეების საზიზღარ როლს უნგრეთის კონტრრევოლუციურ ამბებში, და ნათქვამია, რომ ოლქის მოსახლეობამ სავსებით მოიწონა გადწყვეტილება მთავრობისა, რომელმაც მოუწოდა საბჭოთა არმიას დახმარება გაეწია კონტრრევოლუციის განადგურებაში.

ჩვენ, ნათქვამია დასასრულ წერილში, პროტესტს ვაცხადებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ შეტანის წინააღმდეგ, რადგან ვიცით, რომ ეს არის ჩარევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში და ხელს უშლის ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ დახმარებით ცდილობენ დაფარონ მთელი ტერორისტული მოქმედება, რასაც დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო კოლონიური ქვეყნების ხალხები მიმართ სჩადის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ ნაცვლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დღის წესრიგში შეიტანოს ალჟირის, კვიპროსისა და ომანის ხალხების წინააღმდეგ აგრესიის განხილვა, აგრეთვე განიხილოს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა და მისი აკრძალვა.

ალჟეთობა იტალიაში ფაშიზმისათვის ხელშეწყობის გამო

რომი, 1 სექტემბერი. (საკდესი). საზოგადოებრიობა ღრმად აღაშფოთა იმან, რომ კარაბინერებმა (სამხედრო პოლიციამ) სამხედრო პატივი სცეს მუსოლინის კუბოს სამგლოვიარო ცერემონიის დროს, რაც მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ნეშტი ოჯახს დაუბრუნეს.

გამოხატავს რა ამ აღშფოთებას გაზეთი „უნიტა“ წერს: „ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მთავრობამ, რომელიც ახლა ხელისუფლებას სათავეში უდგას, თავისი ჯარისკაცები გაგზავნოს, რათა სამხედრო პატივი სცენ გამეგმის და სამხედრო დამნაშავის კუბოს, იმის კუბოს, ვინც უსაზღვრო მწუხარება და ნგრევა გამოიწვია და ვინც იტალიის კანონიერი მთავრობის ბრძანებით და იტალიელი ხალხის სახელით სიკვდილით დაისაჯა როგორც სამხედრო დამნაშავე.

ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ კარაბინერები იტალიის რესპუბლიკისა, რომელიც იშვა წინააღმდეგობის შედეგად, ფაშიზმის წინააღმდეგ 20 წლის ბრძოლის შედეგად, საპატიო ყარაულში იდგნენ ფაშიზმის მეთაურის ნეშტთან—გრაშიისა და მატეოტის მკვლელის, ჰიტლერის მოკავშირისა და მსახურის ნეშტთან.

ჩვენ იტალიის რესპუბლიკის მთავრობისაგან მოვითხოვთ ანგარიში ჩაგვბაროს ამ უმსგავსობასთან დაკავშირებით“.

საერთაშორისო გაზრდა დამასკოში

დამასკო, 2 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოში გაიხსნა მე-4 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს 27 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, იუგოსლავია, ინდოეთი, ეგვიპტე, სუდანი და სხვები.

გუშინ ათასობით ადამიანმა დაათვალიერა ბაზრობა. ბაზრობის მუშაობის პირველსავე დღეს საბჭოთა პავილიონში რამდენიმე ათასი კაცი იყო. მნახველნი დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ გამოფენილ ექსპონატებს. საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციის მთავარი შინაარსია ჩვენება სსრ კავშირის მიღწევებისა საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის განძალზე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების დელეგაცია

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე პ. გ. მოსკატოვი. საბჭოთა კავშირის ძველი კომუნისტების ვიზიტი იმის პასუხია, რომ მაის-ივნისში სსრ კავშირში იყო გერმანიის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანთა დელეგაცია.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კ. შირდევანმა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ამხანაგებს შეხვდა, მიმართა მათ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძველი საბჭოთა კომუნისტების ჩამოსვლა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პ. გ. მოსკატოვმა.

საფრანგეთის ჯარები ვენისის ვეარიზორიაზე შეიჭრნენ

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, ალჟირელ აჯანყებულთა რაზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რაც გუშინ ქალაქ ტებეაის ჩრდილო-დასავლეთით მოხდა, საფრანგეთის ჯარებმა დაარღვიეს ტუნისის სახელმწიფო საზღვარი და მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

ზოგიერთი კომენტატორი ამ ინციდენტს უკავშირებს საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის ანდრე მორისის ამასწინანდელ განცხადებას, რომ „საფრანგეთის ჯარები საჭიროების შემთხვევაში არ ფიქრდებიან ალჟირის მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეჭრას“.

გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ტუნისის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარების შეჭრას შეუძლია სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს ტუნისთან... თუ ასეთი ინციდენტები, — წერს გაზეთი, — გაძლერდა, მაშინ საფრანგეთისა და ტუნისის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდება და შეიძლება მოველოდეთ ომის გავრცელებას“.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრიუსელი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „დრაპო რუჟის“ ცნობით, 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის რენე ბელენის მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ და შეიმუშავა მშვიდობისათვის და მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის პარტიის ბრძოლის გაძლიერების პროგრამა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აეროფოტო გამოცდები გრძელდება

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, დღეს გამოსაცდელ პოლიგონზე ნევადის შტატში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს საზაფხულო ატომური გამოცდების სერიის სათვალავით მეთექვსმეტე ატომგულის აფეთქება.

ჟურნირი მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის

ჰაგა, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ემენში (ჰოლანდია) გაიხსნა მსოფლიოს გუნდური პირველობის ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. ტურნირში მონაწილეობენ 20 ქვეყნის მოჭადრაკეები.

საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ოლგა რუბცოვა და სსრ კავშირის ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი კირა ზვორიკინა. საბჭოთა გუნდის კაპიტანია საერთაშორისო ოსტატი ა. მ. კონსტანტინოპოლსკი.

ტურნირი 21 სექტემბრამდე გასტანს. 3 სექტემბერს გაიმართება პირველი ტური.

დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი**—მოხუცი ხოტაბიჩი, **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ს